# 22 ოქტომბერი

სამშაბათი,
1963 წ.
№ 209 (2314)
გამოცემის მე-20 წელი.
ფასი 3 კაპ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов




# საბჭოთა ალპინიზმი ზეიმობს იუბილეს

Საბჭოთა ალპინიზმი ფართოდ, საზეიმოდ აღნიშნავს თავისი არსებობის 40 წლის იუბილეს.

ამ თარიღთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირისა და საქართველოს ალპინიზმის ფედერაციებმა მოაწყეს გაერთიანებული საზეიმო პლენუმი. იგი ჩვენს რესპუბლიკაში ჩატარდა.

19 ოქტომბერს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში შეიკრიბნენ გაერთიანებული საზეიმო პლენუმის მონაწილენი. მათ შორის იყვნენ სამამულო ალპინიზმის ვეტერანები, სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატები, პირველი საბჭოთა ასვლების მონაწილენი. აქ იყვნენ აგრეთვე დღეისათვის უკვე საქვეყნოდ ცნობილი მთამსვლელები, რომლებმაც ბრწყინვალედ და ურთულესი ლაშქრობებით შორს გაიტანეს საბჭოთა ალპინიზმის გამარჯვებანი, მოკავშირე რესპუბლიკებისა და საქართველოს ალპინისტთა საუკეთესო წარმომადგენლები.

სსრ კავშირისა და საქართველოს ალპინიზმის ფედერაციათა გაერთიანებული საზეიმო პლენუმი გახსნა საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ გ. სიხარულიძემ, რომელმაც ილაპარაკა საბჭოთა ალპინიზმის დიდ მიღწევებზე.

შემდეგ პლენუმის მონაწილეებმა წუთიერი დუმილით პატივი სცეს მწვერვალებთან ბრძოლაში დაღუპული მამაცი მთამსვლელების ხსოვნას.

საბჭოთა კავშირის ალპინიზმის ფედერაციის თავმჯდომარემ, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ა. ბოროვიკოვმა წაიკითხა მოხსენება — „საბჭოთა ალპინიზმის განვითარება ორმოცი წლის მანძილზე და 1963 წლის სეზონის შედეგები". მოხსენებაში განხილული იყო სამამულო მთამსვლელობის განვითარების ყველა ეტაპი, დაწყებული 18 ქართველი სპორტსმენის 1923 წლის 28 აგვისტოს მყინვარწვერზე ისტორიული ასვლიდან, ვიდრე საბჭოთა ალპინისტების მიერ უკანასკნელ წლებში მოპოვებულ საერთაშორისო მნიშვნელობის გამარჯვებებამდე.







ქართული ალპინიზმის შესანიშნავი ისტორია გააცნო მსმენელთ საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციის თავმჯდომარემ, სსრ კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა ო. გიგინეიშვილმა. როგორც ცნობილია, ქართველ საბჭოთა ალპინისტთა პირველი გამარჯვებები — კერძოდ, გ. ნიკოლაძისა და ა. დიდებულიძის ექსპედიციათა წარმატებითი ასვლები — დაედო სწორედ საფუძვლად საბჭოთა მთამსვლელობის ისტორიას. შემდგომაც ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა მრავალი ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს კავკასიონის, ტიან-შანისა და პამირის მწვერვალებზე.

მოხსენება — „უხიფათობის გაძლიერება მთასვლაში" — წაიკითხა სსრ კავშირის სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ვ. აბალაკოვმა.

მეორე დღეს საბჭოთა ალპინიზმის 40 წლისთავის ზეიმთან დაკავშირებით თბილისში, მეტეხის ციხის კლდეებზე მოეწყო ალპინისტთა საჩვენებელი ასვლები, რომლებმაც დიდძალი მაყურებელი მიიზიდა. მაყურებელთა განსაკუთრებული მოწონება ხვდა წილად გამოჩენილ ქართველ მთამსვლელს, სპორტის ოსტატ მიხეილ ხერგიანს, რომელმაც იშვიათი სიმსუბუქით და მაღალი ოსტატობით დაძლია საკმაოდ რთული ტრასა.

გუშინ სსრ კავშირისა და საქართველოს ალპინიზმის ფედერაციების საზეიმო გაერთიანებული პლენუმის მონაწილეები ეწვივნენ ყაზბეგს — საბჭოთა მთამსვლელობის აკვანს. აქ პლენუმმა განაგრძო მუშაობა.

* * *

**სურათებზე:** სსრ კავშირისა და საქართველოს ალპინიზმის ფედერაციების გაერთიანებული პლენუმის პრეზიდიუმი. პლენუმს ხსნის საქართველოს სსრ სპორტსაზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. სიხარულიძე. (ქვევით, ზემოდან) — ა. ბოროვიკოვი, ო. გიგინეიშვილი, ვ. აბალაკოვი.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

# „ბელგრადის თასი" — გ. კოსტავას

იუგოსლავიაში დამთავრდა ბელგრადის თასის VII საერთაშორისო გათამაშება დაშნით ფარიკაობაში. შესანიშნავად გამოვიდა ამ ასპარეზობაზე ქართველი სპორტსმენი გურამ კოსტავა. ფინალურ ორთაბრძოლაში მან ანგარიშით 10:8 დაამარცხა იუგოსლაველი მიკოლიჩი და გახდა „ბელგრადის თასის" მფლობელი.

# მნიშვნელოვან საკითხებზე

მოსკოვში, საზოგადოება „ზნანიეს" ცენტრალურ ლექტორიუმში მუშაობა დაამთავრა ფიზიკური კულტურისა და სპორტის ლექტორთა თათბირ-სემინარმა, რომელიც მოაწყო სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალურმა საბჭომ და საზოგადოება „ზნანიეს" გამგეობამ. მოხსენება — „ფიზიკური კულტურისა და სპორტის პროპაგანდის ამოცანების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის შუქზე", გააკეთა ლექციური პროპაგანდის ფედერაციის თავმჯდომარემ, პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატმა კ. ჟაროვმა.

თათბირ-სემინარზე მოსმენილ იქნა აგრეთვე მოხსენებები: ვ. ბელოუსოვა — „კომუნიზმის მშენებლის მორალური კოდექსი", პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი ფ. სამოუკოვი — „სპორტში ბურჟუაზიული იდეოლოგიის კრიტიკა", სპორტკავშირის ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ლ. ნიკონოვი — „სკკპ პროგრამა და ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების ძირითადი ამოცანები", ლექტორი ე. ადამოვი — „ლექტორული ოსტატობა" და სხვ.

# მეხიკო XIX ოლიმპიადის ქალაქია

ბადენ-ბადენში დამთავრდა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სესია, რომელმაც თავის უკანასკნელ სხდომაზე განიხილა 1968 წლის ოლიმპიური თამაშების მომწყობი ქალაქების საკითხი. სხდომამ მეტად საინტერესო დისკუსიაში ჩაიარა. ყოველი ქალაქის წარმომადგენელს მოხსენებისათვის ეძლეოდა 45 წუთი.

ყველაზე დიდი დელეგაცია სესიაზე გამოაგზავნა დეტროიტმა (აშშ), რომელსაც ხელმძღვანელობდნენ მიჩიგანის შტატის გუბერნატორი დ. რომნი და ქალაქის მერი დ. კარენეგი. დასაწყისში მათ დამსწრეთ გააცნეს შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯ. კენედის სიტყვის ჩანაწერი, რომელშიც პრეზიდენტი პირდებოდა საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს თამაშების სანიმუშოდ ჩატარებას და დეტროიტს ალუთქვამდა სახელმწიფოებრივ მხარდაჭერას.

მცირე შესვენების შემდეგ ასეთივე პროცედურა გაიარეს ბუენოს-აირესმა, ლიონმა და მეხიკომ. 8 საათზე მეტხანს გაგრძელდა კანდიდატთა შერჩევა. საკამათო ბევრი იყო და ბოლოს ე. ბრენდეჯმა განაცხადა: „ჩვენ ყველანი დავიღალეთ, დროა გადავიდეთ კენჭისყრაზე". კიდევ მცირე ხნის შემდეგ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის კანცლერმა ო. მაიერმა გამოაცხადა კენჭისყრის შედეგები: მეხიკო — 30 ხმა, დეტროიტი — 14, ლიონი — 12, ბუენოს-აირესი — 2. ამრიგად, გადაწყდა, რომ XIX ოლიმპიური თამაშები გაიმართება მექსიკის დედაქალაქ მეხიკოში.

რას წარმოადგენს მომავალი ოლიმპიადის ქალაქი? აქ არაერთხელ ჩატარებულა დიდი საერთაშორისო შეჯიბრებები, მათ შორის მსოფლიო ჩემპიონატები და პანამერიკული თამაშები. მეხიკოს მოსახლეობა 5 მილიონს შეადგენს. იგი ზღვის დონიდან 2278 მეტრის სიმაღლეზეა. შემოდგომაზე ამინდი, როგორც წესი, თბილი და მზიანია. მეხიკოში 150 მძლეოსნური ბილიკია, კალათბურთის 870 მოედანი, ფეხბურთის 830 მინდორი, 115 საცურაო აუზი, 29 დიდი სტადიონი. ქალაქში 605 სასტუმროა, რომელშიც შეიძლება მოთავსდეს 50 ათასზე მეტი ტურისტი. მთავარი სტადიონი იტევს 800 ათას მაყურებელს, მაგრამ ოლიმპიური თამაშებისათვის მას გაზრდიან 150 ათას ადგილამდე.

# გდრ-ს დამსახურებული ოსტატები

ბერლინში ვ. ულბრიხტის სახელობის სტადიონზე გაიმართა მატჩი ევროპის თასზე ფეხბურთში გდრ-სა და უნგრეთის გუნდებს შორის, რომელიც უნგრელთა გამარჯვებით — 2:1 დამთავრდა. მატჩის დაწყებამდე სტადიონზე, რომლის ცენტრალურ ლოჟაში ისხდნენ გდრ-ს მთავრობის წევრები და საბჭოთა კოსმონავტები ვ. ტერეშკოვა და ი. გაგარინი, გამოცხადდა, რომ გმირ საბჭოთა კოსმონავტებს ვ. ტერეშკოვასა და ი. გაგარინს მიენიჭათ გდრ-ს სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება.

# ჩვენი ფეხბურთელები — ზონებში გამარჯვებულნი

ჯერ კიდევ არ დამთავრებულა სსრ კავშირის პირველობის გათამაშება ფეხბურთში „ბ“ კლასის მოკავშირე რესპუბლიკათა I და II ზონებში, მაგრამ უკვე ახლა ცნობილია გამარჯვებულთა სახელები. I ქვეჯგუფში პირველი ადგილი დაიკავეს ბათუმის „დინამოს“ ფეხბურთელებმა, ხოლო II ზონაში გამარჯვებული გამოვიდა თბილისის „ლოკომოტივი“.

ეს ქართული ფეხბურთის ახალი, მეტად მნიშვნელოვანი წარმატებაა. გათამაშების დებულების თანახმად ზონებში პირველ ადგილებზე გამოსული გუნდები ერთმანეთს უნდა შეხვდნენ ორ მატჩში და მათ შორის გამარჯვებული გუნდი უფლებას მოიპოვებს 1964 წელს მონაწილეობა მიიღოს „ა“ კლასის II ქვეჯგუფში. ამრიგად, თბილისის „ლოკომოტივი“ და ბათუმის „დინამო“ ერთმანეთს შეხვდებიან საკუთარ და მოწინაალმდეგის მინდვრებზე და ამ ორი მატჩის შედეგად უძლიერესი გაისად გადავა „ა“ კლასში. გარდა ამისა, გამარჯვებული გუნდის წევრები მიიღებენ სპორტის ოსტატის წოდებას.

თბილისის „ლოკომოტივის“ რიგებში (უფროსი მწვრთნელი ზ. ქვარიანი) თამაშობენ: რუხაძე, კუპავა, პუნჩენკო, წოწელია, კახიანი, ზაქარეიშვილი, იაშვილი, ახალკაცი, კოშკელოვი, ჟორდანია, ცერცვაძე, მელაშვილი და სხვანი. ბათუმის კოლექტივის წევრები არიან: კვაჭაძე, ქინქლაძე, ჯოხაძე, ლორია, ჩხაიძე, მინასიანი, რამიშვილი, შაფათავა, იოსელიანი, დანელია, ურუშაძე, ყურშუბაძე, გერგედავა და სხვანი. გუნდის უფროსი მწვრთნელია ნ. კეშელავა.

დაე, ჩვენი რესპუბლიკის ამ ორი გუნდის მომავალ ბრძოლაში გაიმარჯვოს უძლიერესმა. ვუსურვოთ მას წარმატებით დაიცვას ქართული ფეხბურთის მაღალი პრესტიჟი მომავალ დიდ ასპარეზობებში!



20 ოქტომბერს რუსთავში გაიმართა კალენდარული მატჩი ფეხბურთში „ბ“ კლასის გუნდებს შორის სსრ კავშირის პირველობაზე. ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „მეტალურგისა“ და ტალინის „დინამოს“ გუნდები. მატჩი მოიგეს მასპინძლებმა ანგარიშით 1:0.

სურათზე: თამაშის ერთ-ერთი მომენტი.

## თბილისში უძლიერესნი

რამდენიმე დღეს გრძელდებოდა თბილისის პირველობა ხელბურთში ვაჟთა გუნდებს შორის. ქვეჯგუფებში პირველი ადგილებისათვის ბრძოლა დაძაბულად მიმდინარეობდა, ბოლოს გამოირკვა ფინალისტებიც. ესენი იყვნენ უცხო ენათა ინსტიტუტისა და ავტომატიკის საშუალებათა კვლევითი ინსტიტუტის ხელბურთელები. უცხო ენათა ინსტიტუტის სპორტსმენებმა მოიგეს მატჩი ანგარიშით 23:16 (12:9). გამარჯვებული გუნდიდან ყველაზე მეტი ბურთები გაიტანეს ჯ. ნიკურაძემ (8 ბურთი) და ჯ. ზაქარიაძემ (7 ბურთი). მესამე ადგილი დაიკავა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პირველმა გუნდმა, რომელმაც თავის მხრივ ამ ადგილისათვის ბრძოლაში დაამარცხა პედაგოგიური ინსტიტუტის პირველი გუნდი — 32:26 (13:15).

## სახელოვან სპორტსმენებთან

მე-14 საშუალო სკოლამ შეხვედრა მოუწყო ჩვენს გამოჩენილ სპორტსმენებს — სპორტის ოსტატებს კლასიკურ ჭიდაობაში ო. ეგაძესა და რ. რურუას, თავისუფალი სტილის მოჭიდავე ვ. რუბაშვილს და მოჭადრაკე ბ. გურგენიძეს.

ძვირფას სტუმრებს მიესალმნენ მოსწავლე სპორტსმენები. დ. გოგიჩაძემ, ი. ბერიაშვილმა, ა. ირემაშვილმა წაიკითხეს საკუთარი ლექსები, მიძღვნილი ქართველი სპორტსმენებისადმი. ტანმოვარჯიშე მოსწავლე სპორტსმენებმა აჩვენეს თავიანთი ოსტატობა.

დასასრულ ვ. რუბაშვილმა, ო. ეგაძემ და ბ. გურგენიძემ დამსწრეთ მადლობა გადაუხადეს გულთბილი მიღებისათვის და უსურვეს მოსწავლეებს წარმატებები სწავლასა და სპორტში.

ი. ხაბეიშვილი

20 ოქტომბერს ბათუმში გაიმართა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ბ“ კლასის მოკავშირე რესპუბლიკათა I ზონის გუნდებს შორის. ერთმანეთს შეხვდნენ ბათუმის „დინამო“ და ქ. ვიტებსკის „დვინა“.

## გათამაშების ფინიშზე

### „დინამო“ (ბათუმი)- „დვინა“ (ვიტებსკი) — 2:0

ეს იყო გათამაშების უკანასკნელი მატჩი ბათუმელთათვის და მას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა გუნდისათვის. გამარჯვების შემთხვევაში იგი საბოლოოდ ინაღდებდა პირველობას ზონაში.

ზღვისპირა ქალაქში ამ დღეს აშკარად არასაფეხბურთო ამინდი იდგა. წინა ღამეს დაიწყო ძლიერი წვიმა, რომელსაც აღარ გადაუღია და სათამაშო მინდორი მთლიანად წყლით იყო დაფარული. ორივე გუნდს ძალზე უჭირდა მოქმედება, ვინაიდან ბურთი არ ემორჩილებოდა მოთამაშეებს და სწრაფი ტემპის აღება შეუძლებელი იყო. მიუხედავად ამისა, დინამოელები გამარჯვების სრული რწმენით გამოვიდნენ მინდორზე და აქტიურად, მაქსიმალური მონდომებით ჩაატარეს მატჩი.

ბათუმელთა ტერიტორიული უპირატესობა ნათელი შეიქნა პირველივე წუთებიდან. „დვინას“ კართან ხშირად იქმნებოდა სახიფათო მომენტები, მაგრამ მასპინძლებმა პირველი ბურთის გატანა შეძლეს მხოლოდ 33-ე წუთზე: მარცხენა გარემარბმა ურუშაძემ თავისი ფლანგიდან მოაწოდა კუთხური ბურთი. ვიტებსკელთა დაცვამ მოიგერია იგი და ამ გადამწყვეტ მომენტში ბურთთან ყველაზე ადრე გაჩნდა დანელია. მან ზუსტი დარტყმით გახსნა ანგარიში — 1:0. ტაიმის დასასრულამდე დინამოელები განაგრძობდნენ შეტევას, მაგრამ სტუმრებმა შეძლეს ანგარიშის შენარჩუნება.

„დვინამ“ მცირე ხნით აიღო ხელთ ინიციატივა მეორე ტაიმის დასაწყისში, შემდეგ კი მინდორს კვლავ მასპინძლები დაეპატრონენ. განსაკუთრებით კარგად თამაშობდა ამ დღეს ურუშაძე, რომელიც გუნდის თავდასხმითი ოპერაციების ორგანიზატორს წარმოადგენდა. მისი გარღვევების შემდეგ ვიტებსკელთა კარი ორჯერ გადარჩა აშკარა გოლს. 22-ე წუთზე ყურშუბაძე სწრაფად გავიდა მოწინააღმდეგის დაცვის რიგებში და ძლიერად დაარტყა კარში. მეკარემ შეძლო ბურთის მოგერიება და შაფათავამ განმეორებითი დარტყმით მეორე ბურთი გაგზავნა კარში.

დარჩენილ დროში დინამოელები განაგრძობდნენ დომინირებას და მსაჯის საფინალო სასტვენმა აღნიშნა ბათუმის „დინამოს“ მნიშვნელოვანი გამარჯვება ანგარიშით 2:0.

ვ. მოსეშვილი

• • •

განვლილ კვირას თამაშობდნენ ჩვენი რესპუბლიკის სხვა გუნდებიც. რუსთავის „მეტალურგმა“ საკუთარ მინდორზე მიიღო ტალინის „დინამო“ და დაამარცხა იგი ანგარიშით 1:0. ეს გადამწყვეტი ბურთი ტალინელთა კარში გაიტანა ჯიბლაძემ ხაბეიშვილის გადაცემის შედეგად.

სოხუმში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „დინამო“ და მოგილევის „სპარტაკი“. მატჩი დამთავრდა უშედეგოდ — 0:0.

ლენინაკანში გაიმართა მატჩი ადგილობრივ „შირაქსა“ და ფოთის „კოლხიდას“ შორის. 90-წუთიანი ბრძოლა დამთავრდა უშედეგოდ — 0:0.

## თბილისის „ლოკომოტივი“ და ბათუმის „დინამო“ — „ა“ კლასის პრეტენდენტები

## სპორტსმენი № 1

ყველა იცნობს ჩვენი ქვეყნის ღირსეულ შვილებს, რომლებიც უკანასკნელ წლებში საბჭოთა სპორტსმენების მედროშეებად დაასახელა ჩვენმა სპორტულმა საზოგადოებრიობამ, მაგრამ ბევრმა ალბათ არ იცის, რომ № 1 სპორტსმენი თურმე საქართველოშიც გვყოლია; რა ვუყოთ, თუ მისი კანდიდატურა სპორტის მოყვარულთა შედარებით ვიწრო წრემ წამოაყენა... მაგრამ უმჯობესია თანმიმდევრობით გავეცნოთ საიდუმლოს.

საქართველოს მძლეოსანთა ჭარმაგი მწვრთნელი ტურისტ მეგობრებთან ერთად არაგვის ხეობას მიჰყვებოდა.

— გადმაჰედი მაინდან, შე სამგლევ, შენა! — მოესმათ ტურისტებს. არაგვის მარჯვნივ აღმართულ ბექობზე ბერძენთა ქანდაკებასავით ტანჩამოსხმული მთიული გადმომდგარიყო, მარცხენა ხელში ცელი ეჭირა, მარჯვენაში კი კარგა მოზრდილი ქვა.

— გადმაჰედი სათიბიდან! — კიდევ დაჰკივლა ჭაბუკმა გაღმა მონავარდე მოზვერს და ქვა გასტყორცნა მისკენ. მოზვერმა ბღავილით მოქუსლა თავქვე.

მწვრთნელმა გაოცებით შენიშნა, რომ ქვის მტყორცნელსა და მოზვერს შორის ასი ნაბიჯი მაინც იქნებოდა.

გაეცნენ. იგი მთიული გურამ გუდაშვილი გამოდგა. ერთი თვის შემდეგ მთიულეთის სოფელ ჭართალიდან ჩამოყვანილმა ჭაბუკმა საქართველოს ყველა ბადროს მტყორცნელი უკან ჩამოიტოვა, შემდეგ კი რიგაში გაგზავნეს შეკრებაზე როგორც ჩვენი ქვეყნის მოზარდ მძლეოსანთა ნაკრები გუნდის წევრი. მწვრთნელი შალვა კილაძე მას თან გაჰყვა.

ერთხელ, როდესაც წვრთნის გრაფიკის მიხედვით მძლეოსნები კროსს ატარებდნენ ქალაქგარეთ ერთ პატარა სოფლის მიდამოებში, გურამის ყურადღება მიიპყრო შემოსულმა პურის ყანამ, რომელიც წელამდე წვდებოდა ერთ მოხუც მთიბავს. გული აუტოკდა მთიულ ყმაწვილს. გაახსენდა ცელით როგორ ტრიალებდა თავის ყანაში და აფენდა დაბლა რძიან ბალახს. მწვრთნელის ნებართვით ყანაში გადავიდა, გამოართვა გლეხს ცელი და პურის ღეროებზე აალუღუნა პირალესილი ფოლადი. უკანასკნელი სვეც რომ გაიტანა, შრომაში გართული გურამი ხალხის ყიჟინამ გამოაფხიზლა; კოლმეურნეებს დროებით თავი მიენებებინათ სამუშაოსათვის და სასწაულებრივ მოვლენილი მუშა-კაცის ლაზათიანი შრომის საყურებლად მოსულიყვნენ.

გურამი ტაშით მიაცილეს ავტობუსამდე. მოხუცი თომასი (ასე გაეცნო იგი სპორტსმენებს) აღტაცებული იყო. როდესაც გაიგო, რომ გურამი საკავშირო რეკორდსმენი იყო ბადროს ტყორცნაში ჭაბუკთა შორის და ჩქარა სპორტის ოსტატი გახდებოდა, — გაუკვირდა, ეს რა თავმდაბალი ბიჭი ყოფილა, ზოგიერთ ცხვირაწეულ სპორტსმენს როდი ჰგავსო.

ორი კვირის შემდეგ მოხუცი თომასი ისევ შეხვდა გურამს რიგის სტადიონზე, სადაც ჭაბუკ მძლეოსანთა შესარჩევი შეჯიბრება იყო დანიშნული; იგი ახლადგაცნობილი პატარა მეგობრის სანახავად ჩამოსულიყო.

თომასი მამაშვილურად მოეხვია გურამს და გულთბილად უთხრა:

— იცი რა, ჩვენმა გაზეთმა გამოაქვეყნა შეკითხვა — ვინ მიგაჩნიათ სეზონის საუკეთესო საბჭოთა სპორტსმენადო. მე და ჩემმა თანასოფლელებმა უკვე გავგზავნეთ პასუხი.

— ვისი გვარი მისწერეთ, ბიძია თომას? — ჰკითხა გურამმა.

— ვისი და თქვენი — გურამ გუდაშვილისა!

— ეგ როგორ, — შეკრთა გურამი, — ჩემზე უკეთესები ხომ ბევრნი არიან?

— ნუ მასწავლით, ყმაწვილო, — ღიმილით თითი დაუქნია მოხუცმა, — თომასი და მისი ასი თანასოფლელი იშვიათად ცდებიან!

აი, თავი და ბოლო პატარა ამბისა, რომელიც გვამცნობს, რომ ჩვენი სამშობლოს თვალუწვდენ ტერიტორიაზე არის ერთი პატარა სოფელი ასიოდე მცხოვრებით, სადაც ჭართალელი ჭაბუკი გურამ გუდაშვილი საბჭოთა კავშირის № 1 სპორტსმენად მიაჩნიათ!

ა. ციბაძე



სურათზე: საქართველოს რეკორდსმენი ვაჟთა შორის ბადროს ტყორცნაში გურამ გუდაშვილი ემზადება სავარჯიშოდ.

# ვეტერანთა მატჩი

20 ოქტომბერს თბილისის „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა საინტერესო ამხანაგური მატჩი ფეხბურთში თბილისისა და ხარკოვის ვეტერანთა ნაკრებ გუნდებს შორის. სტუმრები მინდორზე გამოვიდნენ შემდეგი შემადგენლობით: ბრახოვეცკი, დუიკოვი, სეროვი, ქერებკინი, რაბოტიაგოვი, რაგოზიანსკი, ფურსოვი, სადიკი, ბესპალი, ვორონინი, ჩიჟოვი. მასპინძელთა შორის იყვნენ: პირაევი, კუბლაშვილი, გოგლიძე, სარჯველაძე, ძიაპშიპა, გაგუა, ა. პაიჭაძე, ელოშვილი, ზაზროშვილი, კილაძე, ს. ჯეჯელავა. შემდგომში ორივე გუნდში მოხდა ცვლილებები, კერძოდ, თბილისელთა შორის თამაშში ჩაერთვნენ გაგნიძე, კინწურაშვილი, ჩიტაია, კავსაძე.

„ხანდაზმულმა“ ფეხბურთელებმა თავიდანვე აიღეს ტემპი, რომელიც თითქოს შეუფერებელი იყო მათი ასაკისათვის, მაგრამ ეს ტემპი და ბურთის სწრაფი გათამაშება შეინარჩუნეს მთელი მატჩის განმავლობაში. უკვე პირველ წუთზე კილაძემ, პაიჭაძემ და ზაზროშვილმა გაითამაშეს კომბინაცია და ხარკოველთა მეკარემ გაბედული ნახტომით გადაარჩინა კარი აშკარა გოლს. მალე ზაზროშვილმა გარღვევაზე გაიყვანა კილაძე და ანგარიშიც გახსნილ იქნა — 1:0. მე-15 წუთზე ხარკოველთა კართან შექმნილი სახიფათო მომენტი გოლით დაამთავრა პაიჭაძემ. ხოლო მცირე ხანს შემდეგ ჯეჯელავამ საჯარიმო დარტყმით შორი მანძილიდან მესამედ აიძულა მოწინააღმდეგე ცენტრიდან დაეწყო თამაში — 3:0.

ტაიმის დასასრულს შესამჩნევად გააქტიურდა ხარკოველთა თავდასხმა და დარჩენილ დროში ზედიზედ იქნა გაქვითული ორი გოლი. ბურთები გაიტანეს სადიკმა და ფურსოვმა.

მეორე ტაიმის მე-15 წუთისათვის თბილისელები ისევ დაწინაურდნენ — 6:2 (ბურთები გაიტანეს ჯეჯელავამ — 2 და ზაზროშვილმა), მაგრამ სტუმრების კონტრშეტევათა შედეგად განსხვავებამ კვლავ იკლო — 4:6. 41-ე წუთზე ელოშვილი სწრაფად გავიდა მოწინააღმდეგის მცველთა შორის, მოატყუა კარიდან გამოსული მეკარეც და გაიტანა ამ მატჩის უკანასკნელი, მეთერთმეტე გოლი. ანგარიშით 7:4 გაიმარჯვეს თბილისელებმა.

ა. ლორია

• • •

**თბილისისა და ხარკოვის ვეტერან ფეხბურთელთა მატჩში ძველი თაობის წარმომადგენლებმა აჩვენეს მაღალი ტექნიკური ოსტატობა და ფიზიკური გამძლეობა. ზედა სურათზე ნაჩვენებია თბილისელთა ცენტრალური თავდამსხმელი ა. ზაზროშვილი, როცა იგი დრიბლინგით გადის მოწინააღმდეგის მცველებთან და მეკარესთან ბრძოლაში.**

**ქვედა სურათზე: მეორე გოლი ხარკოველთა კარში. იგი ა. პაიჭაძემ გაიტანა მეტად ძნელი მდგომარეობიდან.**

ფოტო მ. ზარგარიანისა.





## ოდესელთა გამარჯვება

დამთავრდა თამაშები სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ბ“ კლასის უკრაინის [illegible] I ზონაში გამარჯვება მოიპოვა ვინიცის „ლოკომოტივმა“, ხოლო II ზონაში — ოდესის არმიელთა გუნდმა.

ამ ორ გუნდს შორის კიევში შედგა ორი შეხვედრა. ორივე მატჩი მოიგეს ოდესელმა ფეხბურთელებმა (1:0 და 2:0) და უფლება მოიპოვეს 1964 წელს მონაწილეობა მიიღონ „ა“ კლასის მეორე ქვეჯგუფში.

## „იმერეთი“ მეორე ადგილზე

ნიკოლაევში დამთავრდა სსრ კავშირის თასის გათამაშება ფეხბურთში ფიზკულტურული კოლექტივების გუნდებს შორის. გათამაშების ბოლო დღისათვის ტურნირში საუკეთესო მდგომარეობა ჰქონდა მოსკოვის „სტრელას“, რომელსაც შეეძლო ერთი ქულის აღებით მოეპოვებინა პირველი ადგილი. ეს ქულა მოსკოველებმა აიღეს დნეპროპეტროვსკის „მეტეორთან“ შეხვედრაში (1:1) და მოიპოვეს საპატიო პრიზი. აღსანიშნავია, რომ მოსკოველები 3 წლის წინ უკვე ფლობდნენ აღნიშნულ თასს.

ქუთაისის „იმერეთს“ მატჩი ჰქონდა ქ. რუბცოვსკის „ტორპედოსთან“. ქუთაისელთათვის თამაშის მოგების გარდა საჭირო იყო გატანილი და მიღებული ბურთების აქტიური ბალანსის მიღება, ვინაიდან მხოლოდ ამ შემთხვევაში ღებულობდა გუნდი საპრიზო ადგილზე გასვლის შესაძლებლობას. ეს ამოცანა „იმერეთმა“ წარმატებით შეასრულა, ანგარიშით 5:1 დაამარცხა ქ. რუბცოვსკის „ტორპედო“ და 3 ქულა დააგროვა დნეპროპეტროვსკის „მეტეორთან“ ერთად. გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი სხვაობით ქართველმა ფეხბურთელებმა დაიკავეს მეორე ადგილი და მიიღეს გაზეთ „ტრუდის“ პრიზი.

**ფეხბურთი**

# პირველი მატჩის შთაბეჭდილებანი

ისეთი მასშტაბისა და მნიშვნელობის მატჩს, როგორიც 13 ოქტომბერს შედგა მოსკოვში სსრ კავშირისა და იტალიის გუნდებს შორის, ჩვენი მაყურებელი ხშირად ვერ ხედავს. საქმე მხოლოდ იმაში არაა, რომ მატჩი უმაღლესი დონის კატეგორიას მიეკუთვნებოდა და საყოველთაო, „სრულიად ევროპული“ ყურადღების ცენტრში იმყოფებოდა. ეს წმინდა სატურნირო ამბავია და მისი ღირსშესანიშნაობაც ამ მხრივ მხოლოდ გარკვეული პერიოდით განისაზღვრება. გავა ხანი, დამთავრდება შეჯიბრება, იწყება ახალი გათამაშებები და მატჩის ანგარიშიც სტატისტიკის სამუზეუმო კუთვნილებაში გადავა.

საერთაშორისო პრესა დიდი ხანია ავტორიტეტულად აცხადებს, რომ იტალიას ასეთი ძლიერი ეროვნული ნაკრები არა ჰყოლია ომისშემდგომ წლებში. ესაა არა სახელდახელოდ შექმნილი, წვალებით შეკოწიწებული გუნდი, რომელსაც მწვრთნელი გაჭირვებით ადგენს პროფესიული კლუბების ძუნწი ლიმიტით. აპენინის ნახევარკუნძულზე ამჟამად ახალი დევიზია, რომელსაც უაპელაციოდ მხარს უჭერენ ფედერაციაც, კლუბებიც, მწვრთნელებიც და მაყურებლებიც. ლოზუნგი — ყველაფერი „სკუადრა აძურასათვის“! კანონად იქცა იტალიაში და გუნდის მწვრთნელად საგანგებოდ იქნა შერჩეული კაცი, რომელმაც მთელი თავისი უნარი და შესაძლებლობანი წარმართა ეროვნული ნაკრების აღორძინებისაკენ. ე. ფაბრისათვის მოწვეული, ნაყიდი ფეხბურთელი არის მხოლოდდამხოლოდ მომთაბარე გასტროლიორი, რომლის იმედი უნდა გქონდეს მხოლოდ იმ დრომდე, სანამ მას შენზე უფრო შეძლებული მყიდველი გამოუჩნდება და ვინაიდან ასეთი მუშტრების რაოდენობა პროფესიულ ფეხბურთში საკმარისზე მეტია, მან გუნდიდან განდევნა მოთამაშეები, რომელთა იტალიელობა ძირითადად მტკიცდებოდა გადახვეწილი ბებიების საეჭვო ეროტიული თავგადასავლებით. „ფეხბურთსაც უნდა ჰქონდეს სამშობლო“.—ეს მისი სიტყვებია.

და აი ე. ფაბრიმ მოსკოვში ჩამოიყვანა წმინდა იტალიელი ვარსკვლავებისაგან შემდგარი გუნდი.

წარმოიდგინეთ როგორ ფასობს იტალიის ამჟამინდელი ნაკრები, როცა მის შემადგენლობაში ფანტასტიური ღირებულების ფეხბურთელები თამაშობენ. ჟურნალისტმა გვიდო ჯეროზამ, რომელიც ძალზე ახლოს დგას საქმიან საფეხბურთო წრეებთან, გამოაქვეყნა ამ ფეხბურთელთა პრეისკურანტი თვითეული მათგანის საბირჟო ფასით: ჯანი რივერა, უმაღლესი კატეგორიის ვარსკვლავი, ღირს 600 მილიონი ლირა. სპეციალისტები ამბობენ, რომ ჯ. რივერა იქნება საუკეთესო ფეხბურთელი იტალიაში რომის იმპერიიდან მოყოლებული დღემდე. ანჯელო სორმანის საცალო ფასია 500 ათასი ლირა, მარიო კორსოსი — 450 ათასი, ჩეზარე მალდინის და ჯოვანი ტრაპატონისა — 400 ათასი, ჯაკომო ბულგარელისა — 350 ათასი და ა. შ. მილიონები, მილიონები, მილიონები!

მაპატიოს მან, ვინც ა. სორმანი ნახევარ მილიონად შეაფასა, მაპატიოს მანაც, ვინც ამ ფასის გადახდას აპირებს მის შესაძენად, მაპატიოს თვით ამ საუკეთესო ფეხბურთელმაც, მაგრამ სორმანი ვერ შეედრება ვერც ბორის პაიჭაძეს და ვერც ავთანდილ ღოღობერიძეს. მართალია, მან ტრავმა მიიღო პირველ ტაიმში და, შესაძლოა, მთელი შესაძლებლობანი ვერ აჩვენა, მაგრამ მისი თამაშის მანერა ესაა ჯიუტი ანგარიშსწორება ინდივიდუალურად მიჩნეულ მცველთან, არაორგანიზებულობა, ზოგ შემთხვევაში პარტნიორებისაგან გამოთიშვაც, სორმანის გაუთავებელი დრიბლინგიანი ოდისეა ერთგვარი ოპერეტულობის ხასიათს ატარებს. იგი ძნელ ტექნიკურ ილეთებს ასრულებდა, მაგრამ უშუალო საშიშროება კი არ იგრძნობოდა. ეფექტი ბევრი იყო, სარგებლობა — ცოტა.

ან ტრაპატონი, ბულგარელი, მალდინი. ტრაპატონზე ლეგენდები დადიოდა პელეს წინააღმდეგ ჩატარებული მატჩის შემდეგ, მოსკოვში კი იგი აშკარად ვერ გაუმკლავდა ჩვენი გუნდის ფორვარდებს. საშუალო კლასის თამაში აჩვენა ბულგარელიმ, ხოლო ხუსაინოვმა პირველ ტაიმში პირდაპირ სისხლი გაუშრო მალდინის.

სულ სხვა საქმეა ჯ. რივერა. ეს უბრწყინვალესი ფეხბურთელია, რომელიც დროდადრო საოცარ ტრიუკებს აკეთებდა ბურთის დამუშავებისას. გულახდილად უნდა ითქვას, გზა კარისაკენ ვერც მან მოძებნა და მთელ თავის ფეიერვერკს მინდვრის სიგანეზე მოძრაობისას აფრქვევდა, მაგრამ რივერას ტექნიკა შეიძლება იუველირის ნატიფ ხელოვნებას შეადაროთ. ასეთივე წმინდა პრემიერის ტიპის მოთამაშეა კორსოც, ამასთან მას დიდი კომბინაციური ტალანტი, ორგანიზატორის ალღო და ინტუიცია აქვს. შეიძლება ითქვას, რომ რივერასი და კორსოს საერთო ურთიერთმოქმედება კიდევ უფრო უკეთესი იქნებოდა, რომ სორმანის არ შეეტანა მასში გარკვეული დისონანსი თავის ზედმეტი ინდივიდუალობით და პარტიზანული აზარტით.

შესანიშნავი მცველები არიან გუარნერი და ფაკეტი. ჯერ ერთი, გუარნერიმ ზედმიწევნით ზუსტად, ჰკვიანურად ითამაშა მეტრეველთან, გარდა ამისა, მას ღრმა რეიდის შესრულება სცოდნია და სწორედ მისი შორეული „ექსკურსიის“ (ერთი კარიდან მეორემდე) შემდეგ იყო რომ იხსნა უძნელესი ბურთისაგან ურუშაძემ ნაკრების კარი.

ფეხბურთის მოყვარულებს, ბუნებრივია, აინტერესებთ ისეთი რა ინციდენტი მოხდა ე. დუბინსკისა და ე. პასკუტის შორის, რომელმაც აიძულა მსაჯი 10 კაცის შემადგენლობით დაეტოვებინა იტალიის გუნდი მინდორზე.

დასამალი არაა, რომ დუბინსკი დასაწყისში უხეშად თამაშობდა, ამის შესახებ სამართლიანად წერდა „იზვესტიაც“. 23-ე წუთზე პასკუტიმ სწრაფი დრიბლინგით მოატყუა დუბინსკი და ამ მომენტში მცველმა მას უკნიდან დაუდო ფეხი. პასკუტი წამოდგა, მიეჭრა დუბინსკის და ორივე ხელის გარტყმით ძირს დასცა იგი. მსაჯს იურიდიული ლიბერალობისათვის ამ შემთხვევაში არავითარი საბაბი არ ჰქონდა. პასკუტი კატეგორიული ჟესტით იქნა გაძევებული მინდვრიდან და ტრიბუნებზე მსხდარ იტალიელ გულშემატკივართა დიდი რაზმიდან არც ერთს არ ამოუღია პროტესტის ხმა.

იტალიელთათვის, ეტყობა, სრულ მოულოდნელობას წარმოადგენდა ის, რომ კ. ბესკოვმა თავისებური ხარკი გადაუხადა საარქივოდ გამზადებულ „დუბლ-ვეს“ და ტაქტიკური სიურპრიზი მოუმზადა მოწინააღმდეგეს. რასაკვირველია, ეს არ იყო წმინდა წყლის „დუბლ-ვე“, მაგრამ იერიშის პროცესში ხუთი ფორვარდი იყო არა საერთო კომპოზიციის შემთხვევითი ფრაგმენტი, არამედ მუდმივმოქმედი, ძლიერი ძალა.

(დასასრული მე-4 გვ.)



ასე იქნა გატანილი მეორე ბურთი სსრ კავშირისა და იტალიის ნაკრები გუნდების მატჩში. საბჭოთა გუნდის მოთამაშე ი. ჩისლენკო წამით თავისუფალ მდგომარეობაში აღმოჩნდა. მიწაზე მყოფ იტალიელთა მეკარე ვ. ნეგრის აღარ შეუძლია აქტიური წინააღმდეგობა გაუწიოს ფორვარდს, ჩისლენკომ ძლიერი დარტყმით მეორე ბურთი გაგზავნა „სკუადრა აძურას“ კარში.





სამტრედიის სავაგონო დეპოს ზეინკალი რ. ხაჟალია მოწინავეა არა მარტო შრომით ვახტზე, არამედ სპორტშიც.

• • •

**სურათებზე:** რ. ხაჟალია დაზგასთან (ზევით) და სპორტულ მოედანზე (ქვევით).

ფოტო გ. ჯაყელისა.

# პირველი მატჩის შთაბეჭდილებანი

(დასასრული)

იტალიელებმა მატჩი წააგეს დასაწყისშივე. შეიძლება ისინი თამაშის ამ ფაზაში მოელოდნენ პოზიციურ ბრძოლას, საერთო დაზვერვას, სისუსტეების ძიებას და სხვა მისთანა ტაქტიკურ დელიკატობას, სინამდვილეში კი წააწყდნენ მოწინააღმდეგის გამძვინვარებულ ტემპს, უმაღლეს სისწრაფეს, რის შედეგადაც მათი რიგების მთლიანობა, ცალკეული რგოლების წყობა სრულიად მოშლილ იქნა. ამ საღებიუტო სტრატეგიაში კ. ბესკოვმა სუფთად მოუგო ე. ფაბრის და მოთამაშეთა ფსიქოლოგიური განწყობაც ამისდა შესაბამისად წარიმართა.

მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა ვიფიქროთ, რომ საბჭოთა გუნდის თამაში პირველ ტაიმში იყო ე. წ. „ურა ფეხბურთი", რომელიც მოწინააღმდეგეს ხშირად თრგუნავს არა მაღალი კლასით, არამედ ისტერიული თავგანწირვით და „ხმალამოღებული" ენთუზიაზმით. არა, ყველაფერი გახლდათ დაგეგმილი, აწონ-დაწონილი და ეს ტემპი მთლიანად ეყრდნობოდა ბურთის ტექნიკურ გათამაშებას, ადგილების ცვლას, ყოველი დეტალის უზუსტეს შესრულებას. სტუმრები პასიურ დაცვაზე გადავიდნენ იმიტომ, რომ ვერ წაართვეს ბურთი ივანოვსა და ხუსაინოვს, ვერაფრით ვერ შეაკავეს პონედელნიკი, ვერ გადალახეს დაცვის ზღუდე შესტერნევის მეთაურობით. ჩვენი გუნდის ფიზიკური მომზადება აშკარად ჯობდა მოწინააღმდეგისას და ამ გარემოებამ გარკვეული როლი ითამაშა მატჩის ბედის გადაწყვეტაში.

რამდენიმე სიტყვა რ. ურუშაძის შესახებ. მართალია, ამ მატჩში მას მძიმე წუთები არა ჰქონია ერთის გარდა. მაგრამ ჩვენი მეკარე მოქმედებდა ისე იმედიანად და დინჯად, იმდენად დამარწმუნებლად იდგა მცველთა ბარიკადის იქით, თითქოს ნაკრებში თამაში ასეთ საპასუხისმგებლო მატჩში მისთვის ძველისძველი, შეჩვეული ამბავი ყოფილიყოს. მეკარის ეს შტრიხი, როგორც ცნობილია, ძალზე დიდმნიშვნელოვანია მცველებისათვის იმედის ჩასანერგად.

საბჭოთა ნაკრების თამაში პირველ ტაიმში საუკეთესო იყო. ასე მას დიდი ხანია არ უთამაშია და ამდენად გაუგებარი და გაუმართლებელია მისი მოქმედება მატჩის მეორე ნახევარში. მოწინააღმდეგეს გუნდში ჯერ 10 კაცი დარჩა და მალე სორმანი საკუთარი გაუფრთხილებლობის გამო მინდორს გარეთ აღმოჩნდა იმ „საბრალმდებლო სკამის" გვერდით, სადაც კარგა ხანია მოწყენილი იჯდა პასკუტი, მაგრამ ეს მდგომარეობა ჩვენმა გუნდმა ვერ გამოიყენა. გაუგებრობას იწვევს გეგმის ასეთი მოულოდნელი და გაუმართლებელი შეცვლა. შეიძლება მოთამაშეებმა მთელი თავიანთი ფიზიკური ძალა და ნერვული რესურსები შეწირეს პირველ ტაიმს და მისგან მოგებულს დასჯერდნენ? თუ ეს ასეა, განმეორებით მატჩში 10 ნოემბერს რომში ახალ სიძნელეებთან გვექნება საქმე. იტალიელებს საუცხოოდ შეუძლიათ ბურთის გათამაშება და სწორედ მეორე ტაიმში, როცა ეს საჭირო იყო, ისინი შეუფერხებლად ასრულებდნენ კომბინაციებს [illegible] მოთამაშეთა შორის მინდვრის შუაგულში მოგზაურობდა დამჯერედ, მორჩილად და შეიძლება ითქვას, მეორე ტაიმი ფაქტიურად სტუმრებისა იყო. ამ 45 წუთში მათ შეასრულეს თავიანთი ამოცანა, ჩვენებმა — ვერა.

ასეა თუ ისე, საბჭოთა ფეხბურთელთა გამარჯვება სავსებით კანონზომიერი და დამსახურებულია, ამიტომ მიიღო მან ასეთი კარგი პრესა უცხოეთში. წინაა მეორე მატჩი, კიდევ უფრო ძნელი და გადამწყვეტი, კიდევ უფრო რთული. რა თქმა უნდა, იტალიელები გაითვალისწინებენ ლუჟნიკის გაკვეთილს და ყველა სარევანშო კონტრზომას მიმართავენ საკუთარ სტადიონზე, საკუთარ კედლებში. მით უფრო დიდ ინტერესს იწვევს საერთაშორისო საფეხბურთო წრეებში დიდი მატჩის მეორე სპექტაკლი რომში.

ბ. ქორქია.

მოსკოვი.



ისინი დუქანში შევიდნენ, ენგურის გზისპირზე, სველი ლაბადები კუთხეში მიყარეს. ორ მიდგმულ მაგიდას ახალგაზრდა სვანები უსხდნენ, სვამდნენ და ხმაურობდნენ. ან ხე-ტყის დამცურებლები იქნებოდნენ ან მარმარილოს მჭრელები, დიზიდან. ხელფასი თუ აიღეს და ქეიფობდნენ.

მედუქნემ ახალმოსულებს ჰკითხა:

— აქაურები არა ხართ, რა საქმისათვის ჩამოსულხართ?

— თბილისელი მთამსვლელებია. მწვერვალზე აპირებენ ასვლას. — ყველას მაგივრად პასუხი გასცა იაგორამ და არ დაასახელა მწვერვალი.

— ეს ქალი მინახავს. — თქვა მედუქნემ და ალექსანდრასკენ მიიხედა. — შარშან იყო ჩვენთან.

— ალექსანდრა ჯაფარიძეა.

— ერთი ჯაფარიძე სისხლის აღებას რომ გადაერჩინათ, ჩუმად გააპარეს ტყით სვანეთიდან. — გაიხსენა მედუქნემ.

— ეს სხვა ჯაფარიძეებიდანაა, იმერეთიდან.

— სიმონ ჯაფარიძე რა იყო მაგისი? აი ის თეთნულდზე პიმენ დვალთან ერთად რომ დაიღუპა.

— ალალი დაა.

მოიქეიფე სვანები გაჩუმდნენ, ყურს უგდებდნენ ლაპარაკს. მედუქნეს დაუძახეს. ხმადაბლა ლაპარაკობდნენ და თან მთამსვლელებისაკენ იყურებოდნენ. მერე ერთი მათგანი ალექსანდრასთან მივიდა. ქუდი მოიხადა.

— გვაპატიე, დაო, ძალიან ვხმაურობდით, არ ვიცოდით ვინ იყავით. შემდეგ თავის კამპანიას მიუბრუნდა, რაღაც გადასძახა. ყველა ადგა, ქუდები მოიხადეს, გაკვირვებულ ალექსანდრას მიესალმნენ...

— სვანებს ახსოვთ, — თქვა მან. — არასოდეს არ დაავიწყდებათ, რომ შენ ძმას, სიმონს, ჩვენი პიმენის შეჩერება უნდოდა, როცა ის თეთნულდიდან გადაიხაფრა. სვანებმა იციან, რომ მას შემდეგ შენ ძმასთან ერთად დადიხარ მთებში, სატრფიალოდ კი არა, შურის საძიებლად, მთებზე შურის საძიებლად. სწორე ვამბობ თუ არა სვანებო? ყველამ, ვინც კი იმ პატარა თამბაქოს კვამლით სავსე ოთახში იყო, ერთხმად თქვა: — სწორეა!..

— შენ წვრილი ხარ ყაყაჩოს ღეროსავით და არწივივით გულადი. ჩვენ არ ვიცით, საით გაგიწევია დღეს. ნურც იტყვი ხმამაღლა, თორემ გაიგებს მწვერვალთა მბრძანებელი, ბოროტი დალი. სვანის გული კა თან წარიტანე, ალექსანდრა!...

მედუქნემ მშრალი ლაბადები მოიტანა...

მთას არ გააჩნია ბიოგრაფია, ვიდრე ადამიანი არ ავა მასზე. ადამიანს ხომ არ შეუქმნია მწვერვალები და ძალიან პატარაა მათთან შედარებით. მაინც ადის, სჭრის ყინულში საფეხურებს და ადის. აქედან იწყება მწვერვალის ბიოგრაფია.

ასე დაემართა უშბასაც, რომლის დასაპყრობად მიდიოდნენ და-ძმა ჯაფარიძეები.

უშბა!

ჯერ კიდევ ათას ცხრაას თორმეტ წელს ერთმა რუსმა უბის წიგნაკში ჩაიწერა ეწერელი სვანის სიტყვები: „შეხედეთ ამ საოცრებას — უშბას. ვინმეს რომ შეეძლოს მასზე ასვლა, დაინახავდა სამყაროს სიდიადეს, დაინახავდა ზღვის უსაზღვრო სივრცეს და უდიდეს მწვერვალებს, თეთნულდსა და შხარას. ადი უშბაზე და ბედნიერი ქნები, ტყვით, რომ ბედნიერება ქვეყანასა აქვს მინიჭებული და ბედნიერება დაბრუნდება ამ ქვეყანაზე".

ალექსანდრა ბინოკლით გასცქეროის უშბას და ფიქრებში უკვე ადის მიუწვდომელ კედლებზე. უცებ ბინოკლის მინებში ჩამობნელდა.

— შენა ხარ, სოსო?

ასლანიშვილი აქ ექიმებთან ერთადაა. ხელისგული მიუფარებია ლინზაზე.

★

*ე. სიმონოვი*

★

— ალექსანდრა, რას გასცქერი უცხოელების საკუთრებას.

— როგორ თუ უცხოელებისას?

— უშბა უცხოელებს ეკუთვნით. ჩამოვლენ ბეჩოში, აიღებენ კონცესიას თავიანთ უშბაზე და ყველა ამსვლელისაგან დიდ ფულს მოითხოვენ. დაგავიწყდა დადეშქელიანი?

ათას ცხრაას წელს საერთაშორისო უგამყოლო ექსპედიციას მეფის პოლკოვნიკის ფორმაში გამოწყობილი კაცი შეხვდა.

— კოლოსალ! არაფერი მსგავსი არ მინახავს არც ტიროლში, არც ალპებში. — წამოიძახა ქერათმიანმა ქალმა, რომელსაც ელეგანტური საგზაო კოსტუმი ეცვა.

თათარხან დადეშქელიანმა ულვაშზე გადაისვა ხელი.

— ეს ჩემი უშბაა. უშბა ნიშნავს სვანურად „მთა-ურჩხულს" ან „ქარიშხლებიან მთას".

— ისევე, როგორც ალპური მატერჰორნი. — ჩაურთო უცხოელმა მამაკაცმა, რომელსაც უჯრედებიანი კოსტუმი ეცვა, სქელი წინდები და თავზე ტიროლური ფრთიანი ქუდიც ეხურა. — ჯერ კიდევ ტინდალი ეძახდა მას „ღრუბლების გამჩენს", ასე არ არის, ფრაუ ფიკერ?

ქალმა თავი დაუქნია თანხმობის ნიშნად.

— თქვენი მწვერვალი, თავადო, საოცრად ჰგავს მატერჰორნს.

უცხოელი მამაკაცი ისევ ჩაერია:

— ასეთივე აზრისა იყო ბრიტანეთის ალპინიზმის მეთაური დუმლას ფრეშფილდიც. იგი ნამყოფია ამ ადგილებში, თავადო. და როცა სერ დუმლასმა თავის მუდმივ გამყოლ დევუასუსთან ერთად თქვენი უშბა დაინახა, ასე თქვა: „ეჰვგარეშეა, კავკასიის მატერჰორნი ნაპოვნია! განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ აქ ორი მატერჰორნი დგას ერთად, და თანაც ორჯერ უფრო დიდი". მატერჰორნი კი მოგეხსენებათ, ყველაზე ურთულესი მწვერვალია ალპებში.

— უშბა მართლაც რაღაც არაჩვეულებრივია, — კიდევ გაიმეორა ქალმა. — ძალიან მომწონს. ვინ იფიქრებდა, რომ კავკასიონი სილამაზით შვეიცარიასა და ტიროლს აღემატებოდა.

— მიჩუქნია! — საზეიმო ხმით თქვა დადეშქელიანმა, ქალმა გაკვირვებულად ასწია წარბები.

— მიჩუქნია! — გაიმეორა მან.— ჩვენებური ადათით სტუმარს აჩუქებენ ყველაფერს, რაც მოეწონება მასპინძლის ოჯახში. — განაგრძო თავადმა. — ეს პატარა მთა თქვენ რომ მოგეწონათ, — და ბეჭდებიანი ხელი დარდიმანდულად გაიქნია უშბისკენ, — ისეთივე უძრავი ქონებაა ჩემი, როგორც მთელი ეს მიწები და ტყეები. ხვალვე წყალობის ქაღალდს ნოტარიუსი შეამოწმებს.

ეს ამბავი გაახსენა ალექსანდრას ძველი ამბების მცოდნე სოსო ასლანიშვილმა. გამოდის, რომ არ ყოფილიყო ოქტომბერი და რევოლუცია, ქალბატონ ფონ-ფიკერს შეეძლო შემოეღობა მთელი უშბა და აბრა გამოეკრა: „უცხო პირთათვის შესვლა აკრძალულია!".

სოსომ გააცილა ისინი გულის მყინვარის გადახნულ ხეობამდე. თვითონ არ შეუძლია მათთან წასვლა. მთელი ზაფხული სოფლებში უნდა იაროს, ხაიშიდან მულახამდე, უშგულიდან კალამდე, ჩიყვის სამკურნალოდ.

დგას სოსო და გაჰყურებს უშბას. იცის რაც არის იგი. ჯერ კიდევ გუშინ სვანი ხანჯლის ამოღებამდე მოწინააღმდეგეს უყვიროდა: „უშბაზეც წასულხარ, ძაღლის შვილო ან კიდევ მაზეის მცხოვრებთაგან რომ გაუგია: „ეს ისევე არ მოხდება, როგორც ადამიანი ვერ ავა უშბაზე!"

ხუმარა და მხიარული სოსო დგას ჩაფიქრებული, უხმოდ აცილებს ადამიანებს ხეობის სიღრმეში რომ ქრებიან... სანდრო გვალია, ალექსანდრა, დაკვირვებული, სულ ბლოკნოტი რომ უჭირავს ხელში ლევან მარუაშვილი, დინჯად მოსიარულე მოხევე იაგორა კაზალიკაშვილი. ჯგუფს ორი კაცი აკლია. ალიოშა ჯაფარიძე რიონის სათავეებში აწარმოებს კვლევას მომავალი ელსადგურების მშენებლობისათვის, მესტიელი სვანი გიო ნიგურიანი მეზობელი სოფლის მოსისხლეთა შესარიგებლად წავიდა.

გულის მყინვარის ენასთან ჰქონდათ გაშლილი ბანაკი, ალიოშა ჯაფარიძე რომ მოვიდა. საშუალო ტანის მხარბეჭიანი, ენერგიით ავსილსე, ოდნავ წინ წამოწეული ნიკაპით, ნათელი და ჭკვიანი თვალებით...

კარავი სიბნელეში გაშალეს. დილით ლევანმა ალიოშას გადასცა კლდეებში ნაპოვნი სავიზიტო ბარათი, რომელზეც გოთური შრიფტით ეწერა „შულცე". ეს ტიროლის კლდეების ის არწივი იყო, რომელმაც აქ ოთხი ქვეყნის მთამსვლელთაგან შემდგარი ექსპედიცია ჩამოიყვანა. ადვილად არ დამორჩილდა მათ უშბა. გერმანელი ჩამოაგდო სამხრეთი კედლიდან, თავი დაუზიანა. ორი დღე იწვა იგი და მაინც დაიპყრო მწვერვალი.

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. იხ. „ლელო" № 207 208.

რედაქტორი 0. უგულავა.





24-27 ოქტომბერი

საბჭოთა აკრობატიკის 25 წლისთავისადმი მიძღვნილი სსრ კავშირის 1963 წლის პირად-გუნდური პირველობა

აკრობატიკაში

დასაწყისი 11 და 17 ს.

ЛЕЛО ИНДЕКС 66448

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, დეპეშებისათვის—თბილისი, „ლელო", ტელეფონები: რედაქტორის — 3-35-82. პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-35-09.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 00796